სამაგისტრო პროგრამა

“ტურიზმი”

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი

თბილისი
2018

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ..... გვ. 4
I. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა ....გვ. 5
II. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება…….....….…..გვ.5
III. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა…….....……..…..გვ.9
IV. სწავლის შედეგი გვ.9
V. სწავლების და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები…….....…..…..გვ.16
VI. ცოდნის შეფასების სისტემა.....გვ.18
VII. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა გვ.20
VIII. სამაგისტრო ნაშრომის მახასიათებლები…….....……..…….…….…….

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
„ტურიზმი“

I. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

1.1უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

1.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი (Tourism)

1.3. პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

1.4. სწავლის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი, 2 აკადემიური წელი

1.5. სწავლების ენა – ქართული,

1.6. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი (Master in Tourism and Hospitality Management)

1.7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - სამაგისტრო პროგრამა) შედგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრაზე

1.8. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: იოსებ ხელაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი პროფესორი, დოქტორი.

II. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

1. სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონით ,,უმაღლესი განათლების შესახებ” განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს საქართველოს შრომის ბაზარზე ბოლო პერიოდში გამოკვეთილ ტენდენციებს;

2. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების (სასწავლო გეგმა, სილაბუსები და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამ კონკრეტული კომპონენტით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პროგრამის აქტუალურობა

პროგრამის აქტუალურობას განაპირობებს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის უპრეცედენტო აღმავლობა, რაც ბუნებრივად იწვევს მოთხოვნის ადეკვატურ ზრდას კადრებსა და სპეციალისტებზე. 2006 წლიდან დღემდე საერთაშორისო ვიზიტიორთა რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა, გადააჭარბა 7.5 მილიონს[1] და დღეისათვის ამ სფეროში უკვე დასაქმებულია 125 ათასამდე ადამიანი[2]. ამასთან, ტურიზმი აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკური შემდგომი ზრდის პრიორიტულ მიმართულებად და შემუშავებულია ამ დარგის პერსპექტიული განვითარების სტრატეგიული გეგმა 2025 წლამდე. მის მისიას წარმოადგენს „მდგრადი ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირება, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე“. ეს გარემოება უზრუნველყოფს მრავალწლიან პერიოდში საკადრო მოთხოვნების სტაბილურ ზრდას, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე.

სამუშაო ადგილების რაოდენობრივ მატებასთან ერთად, კადრების მომზადების აქტუალურობას, ასევე, განაპირობებს ამ სფეროში გამოვლენილი საკადრო მოთხოვნებისა და სპეციალისტების მომზადების მნიშვნელოვანი ხარისხობრივი და სტრუქტურული შეუთავსებლობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ 2015 წელს ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევამ, გამოააშკარავა, რომ სხვა დარგთან ერთად, ტურიზმის სფეროშიც სპეციალისტების არაადეკვატური მომზადება განაპირობებს კადრების მაღალ დენადობას და მნიშვნელოვანწილად უცხოური შრომითი რესურსებით ჩანაცვლებას[3]. ეს კიდევ უფრო ზრდის ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა ორიენტირებული სწავლებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მნიშვნელობას, რაც ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს[4].

---

[1] http://stats.gnta.ge/Default.aspx

[2] https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2017/georgia2017.pdf)

[3] შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი 2015 http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf (გვ, 7, 18, 20, 27, 39, 44)

[4] https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ტურიზმის პროფილით კადრების მომზადების მრავალწლიანი ტრადიცია. ბოლო წლებში ამ მიმართულების ძირითად და მთავარ რგოლს წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, კერძოდ ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა. დროის გამოწვევებმა ამ სფეროში შექმნა სასწავლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები. ახალი გამოწვევების საპასუხოდ, სასწავლო პროგრამის სრულყოფასთან ერთად, დაგეგმილია უცხოურ სასწავლებლებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს კადრების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებას, პირველ რიგში, ბოლონიის პროცესის სტანდარტების გათვალისწინებით და დანერგვით. ამ მიზნებით უკვე დაწყებულია თანამშრომლობა ავსტრიის ბოკუსა და კრემსის უნივერსიტეტებთან ამავე ქვეყნის განათლების ცენტრის პროგრამის ფარგლებში (Austrian Partnership Programme in Higher Education and Research for Development -APPEAR), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების პრობლემების გამოვლენას და შესწავლას სტუდენტთა მონაწილეობით; კვლევითი მიმართულებით ვითარდება თანამშრომლობა მეცნიერ-ექსპერტთა საერთაშორისო ასოციაციასთან (International Association of Scientific Experts in Tourism (AIEST). სტუდენტთა მომზადებაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ხელი მოეწერა კვლევით პროცესებში თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, ასევე, კათედრა თანამშრომლობს საქართველოს გიდების ასოციაციასთან და სასტუმროების ფედერაციასთან.

4. სამაგისტრო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ტურიზმის, როგორც ქვეყნის წამყვანი სოციალურ-ეკონომიკური დარგის, ისე მრავალპროფილიანი ბიზნესის სფეროსათვის, შესაბამისი ღრმა და სისტემური თეორიულ ცოდნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობენ ამ სფეროში მენეჯერის, ცალკეული მიმართულებებისა და პროექტების ხელმძღვანელის, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტისა და ექსპერტის პოზიციებზე დასაქმების მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის მიზანია:

- კურსდამთავრებულმა შეიძინოს სისტემური ცოდნა მომსახურების, მარკეტინგის და საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში, დაეუფლოს ღრმა ცოდნას ტურიზმის ინდუსტრიის პოლიტიკაში, ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, ინოვაციური მდგარი განვითარების კონცეფციებში და მიდგომებში. ასევე, შეიძინოს ტურიზმის ცალკეული მიმართულებების სიღმისეული ცოდნა ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიებში, საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტში, ტურიზმისა და მასპინძლობის ფინანსურ მენეჯმენტში, რაც მთლიანობაში წარმოადგენს სასწვალო პროგრამის ძირითად ბირთვს;
- კურსდამთავრებულმა ფუნდამეტურად შეისწავლოს ტურიზმთან დაკავშირებული სტატისტიკური ანალიზის და კვლევის სხვა უახლოესი მეთოდები, შეიძინოს მათი კვლევით პროექტებში გამოყენების, პროექტების მენეჯმენტს და პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული ზოგადად ლიდერის უნარ-ჩვევები, რითაც მას შეეძლება თავისი წვლილის შეტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევებისა და ტრადიციების შემდომ განვითარებაში;

- კურსდამთავრებულს შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ტურიზმისათვის დამახასიათებელ მულტიკულტურულ და მრავალპროფესიულ საზოგადოებაში ცოდნის გაზიარება და კომუნიკაცია, ეროვნული და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების დამკვიდრებაში ხელის შეწყობა, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ტურიზმთან დაკავშირებული პროფესიული საზოგადოების ღირსეული წევრობა და პროფესიული თანამშრომლობის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანა;

- კურსდამთავრებულს შეეძლოს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში და სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეგნებულად აირჩიოს ცოდნის შემდგომი გაღრმავების ცალკეული მიმართულებები, როგორიცაა ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა, სათავგადასავლო და გასტრონომიული ტურიზმი, ღონისძიებათა ტურიზმი, საკურორტო ტურიზმი და ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში. ასევე გააცნობიეროს უწყვეტი განათლების მიღების მნიშვნელობა, გააჩნდეს კვალიფიკაციის დამოუკიდებლად ამაღლების უნარი;

- წარმატებული კურსდამთავრებულის მიერ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები იყოს კონკურენტუნარიანი ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს შრომის ბაზარზე და ღირებული საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალური განვითარებისათვის.

ამ მიზნების განხორციელებისათვის აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (65 კრედიტი);
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები(15 კრედიტი);
- პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი);
- კვლევითი ნაშრომი (10 კრედიტი)
- სამაგისტრო ნაშრომი (20 კრედიტი).

III. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
- პირი, რომელიც აკმაყოფილებს საერთო სამაგისტრო გამოცდის და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის მიერ განსაზღვრული გამოცდის პირობებს სპეციალობაში - შესავალი ტურიზმში;
- ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე, ან გააჩნია ამ ცოდნის დამადასტურებელი საბუთი.
- აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს;
- სწავლის საფასური განისაზღვრება 2 250 ლარით.

IV. სწავლის შედეგი

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციათა მეორე საფეხურის აღწერის თანახმად.

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს გააჩნია ტურიზმის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა. იგი ითვალისწინებს კომპანიების, ორგანიზაციების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს, განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვასა და მართვას, მენეჯერული და საფინანსო გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ,

ძირითადი კომპეტენციები

1.ცოდნა და გაცნობიერება:

1.1.<u>ღრმა და სისტემური ცოდნა.</u> სტუდენტს გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ბიზნესის ორგანიზებაში და ოპერატიულ მენეჯმენტში, კონკურეტნულ გარემოში მომსახურების სრულყოფის, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის, საერთაშორისო მასპინძლობის ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ფინანსური, ადამიანური რესურსების და მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიებისა და ღონისძიებების მენეჯმენტში, დაგეგმვა-განხორციელებაში, საინფორმაციო სისტემების ეფექტიან მართვაში ინოვაციური კონცეფციების აქტიური გამოყენებით, რომელთა შორისაა „ვირუსული მარკეტინგი“, „ჩართულობითი ტურიზმი” (Experiential Tourism), „მომსახურების-დომინირებაზე ორიენტირებული მიდგომა“ (Service-Dominant Logic Approach), „სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია“, სტუდენტი აცნობიერებს ტურიზმის პოლიტიკის სწორად წარმართვის მნიშვნელობას ქვეყნისათვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მოტანის საქმეში, იცის საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია, გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დარგის, მართვის უახლეს კონცეფციებში და მიდგომებში, მდგრადი განვითარების სტრატეგიულ და ოპერატიულ საკითხებში, რომლებიც ითვალისწინებენ მულტიდისციპლურ, მ.შ. ინოვაციურ ტრანსდისციპლინურ მიდგომებს, ადამიანური რესურსების მართვის ახლებურ ხედვებს, დაუფლებულია

ზოგად სტატისტიკური და ტურისტული მოვლენების კვლევის ხარისხობრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს.

1.2. <u>ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება.</u> მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას გამოიკვლიოს და მოიძიოს ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის მონაცემები, ჩაატაროს მათი ანალიზი, მოახდინოს პროგნოზირება და მიიღოს ე.წ. „მიზნობრივი ცოდნა“, მ.შ. უახლესი „ტრანსდისციპლინური“ კვლევების, გეოინფორმაციული საშუალებების და სატელიტური ანგარიშის მეთოდიკის გამოყენებით, ასევე რაც საშუალებას მისცემს მას შეიმუშავოს ორიგინალური იდეები ტურიზმისა და მასპინძლობის პოლიტიკის, ადამიანური რესურსების მართვის, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხებში.

1.3. <u>ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება.</u> კურსდამთავრებული აცნობიერებს გამოკვლეული და შესწავლილი ცალკეული კომპლექსური - სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზებს, მ.შ. შემუშავებული ორიგინალური იდეების საფუძველზე, რომლებიც უკავშირდება ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების მენეჯმენტის, სტრატეგიული და ოპერატიული მარკეტინგის მენეჯმენტის, ბიზნესის დაგეგმვისა და მენეჯმენტის, ფინანსური მენეჯმენტის, პოლიტიკისა და მდგრადი განვთარების საკითხებს.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

<u>2.1. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი.</u> კურსდამთავრებულს გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის მომსახურების, მარკეტინგის, ტურიზმის პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების სფეროებისათვის დამახასიათებელი გაუთვალისწინებელი და მულტიდისციპლინური გარემოების გამოვლენისას ადეკვატური მოქმედების უნარი, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის კომპლექსური შესწავლის, გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების ქმედებებს. კურსდამთავრებულს შეუძლია აღნიშნულ ვითარებაში უნარ–ჩვევების ადაპტირება, შეძენა ან შემუშავება, ადეკვატური

გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედება; გააჩნია, შეძენილი ლიდერული უნარ-ჩვევების ცოდნის საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანი განხორციელება, მ.შ. საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში, მონაცემთა დაცვის საშუალებების ფორმირებით სისტემის უსაფრთხოებისათვის, პერსონალური პასუხისმგებლობის აღებით, ინიციატივის გამომჟღავნებით, კადრების სწორი შერჩევით, „იმიჯის“ მართვით და წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარებით, შეეძლება ბიზნეს პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემასთან (ERP) პრაქტიკული მუშაობა.

2.2. <u>კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი , ორიგინალური გზების ძიების უნარი.</u> კურსდამთავრებულს გააჩნია ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტში და ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის განხორციელებაში გაუთვალისწინებელი კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების და გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების ძიების უნარი, მათ შორის, ახალი სადისტრიბუციო არხების, მარკეტინგული ღონისძიებების, პარტნიორების მოძიების, ალიანსების შექმნის, ბიუჯეტის რაციონალიზაციისა და სხვა გზებით; ასევე ტურიზმის მდგრად განვითარებაში „დაინტერესებული მხარეების“ (Stakeholders) მოძიების და ჩართვის უნარი, არსებული, პოტენციური ან მოსალოდნელი კონფლიქტური საკითხების დარეგულების მიზნით; საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტის სისტემაში კულტურული ფაქტორების განსაზღვრა, აღნიშნული თვალსაზრისით არსებული რისკების ადეკვატურად შეფასება და მათი არიდების გზების გამოვლენა.

<u>2.3. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</u> კურსდამთავრებულს შეუძლია ტურიზმის თანამედროვე გამოწვევების, კონცეფციებისა და მიდგომების გათვალისწინებით კვლევებისა და პროექტების დამოუკიდებლად განხორციელება, სტრატეგიული გეგმების დამოუკიდებლად შემუშავება და მისი განხორციელების დაგეგმვა, ამ მიზნებისათვის ანალიზისა და კვლევების ჩატარება, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატური გამოყენებით; ასევე, გამოიკვლიოს ტურისტული კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, გამოავლინოს სუსტი და ძლიერი მხარეები, შეადგინოს კომპანიის ბიუჯეტი, შეიმუშაოს პრობლემების დაძლევისა და ძლიერი მხარეების შემდგომი განვითარების

ფინანსური გეგმები; განახორციელოს ინოვაციური „ტრანსდისციპლინური“ კვლევები ტურიზმის პოლიტიკის და მდგრადი განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

3. დასკვნის უნარი

3.1. რთული და არასრული ინფორმაციის (მ.შ. უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. კურსდამთავრებულს შეუძლია ტურისტულ მომსახურებაზე, ტურისტთა მიზნობრივ ბაზრზე და მათ მოთხოვნებზე, ტურისტული კომპანიებისა და სასტუმროების ფინანსურ მენეჯმენტზე, ტურიზმის გლობალურ ტენდენციებზე და პოლიტიკაზე, მდგრადი განვითარების და სხვა ტურიზმთან დაკავშირებულ პროცესებზე განსხვავებული წყაროებიდან მოპოვებული რთული, კომპლექსური, მათ შორის არასრული ინფორმაციის კრიტიკული გაანალიზება, პრობლემების და ტენდენციების იდენტიფიცირება, შედეგების კონცეფტუალიზაცია და ამის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა; აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება და კრიტიკული ანალიზი;

3.2. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
კურსდამთავრებულს შეუძლია ტურისტული კომპანიების ოპერატიული და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხებზე, ცვლად კონკურენტულ გარემოზე და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებზე მოპოვებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

4. კომუნიკაციის უნარი

4.1 შეუძლია ბიზნესისა და აკადემიური ეთიკის დაცვით, მულტიკულტურულ და მრავალპროფესიულ საზოგადოებაში ცოდნის გაზიარება და კომუნიკაცია. შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების და ინტერესების დაბალანსების მიზნით, შევიდეს საქმიან ურთიერთობებში ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან, ასევე საქმიან პარტნიორებთან და ინვესტორებთან, იმ სპეციფიკური ცოდნით და

კომპეტენციების პრაქტიკულიი გამოყენებით, რომლებიც ახასიათებს ტურიზმის სფეროს. აღნიშნული ურთიერთობები მოიცავს პრეზენტაციებს, ბიზნეს გეგმების მომზადებას და წარდგენას, დისკუსიებს, აზრის დასაბუთებულად წარდგენას, არგუმენტაციისათვის ადეკვატური მაჩვენებლების გამოყენებას;

4.2. შეუძლია საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით და გამოყენებით, ასევე, პროექტის სახის ნაშრომის წარდგენა, მასში დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების პრეზენტაცია, შეუძლია დისკუსიების ჩატარება და კომუნიკაციის სხვა საშუალებების თავისუფლად გამოყენება, რაც მთლიანობაში წარმოადგენს კონცეფციის მეთოდიკის მნიშვნელოვან კომპონენტს მრავალმხრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხში;

4.3 შეუძლია ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება მარკეტინგის ზოგად კონცეფციებთან და ტურიზმის ინდუსტრიის თანამედროვე განვითარების ტენდენციებთან, მათი განხილვა საქართველოსთან მიმართებაში და შეძენილი ცოდნის პროფესიული კომუნიკაცია დარგის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან;

4.4. შეუძლია ეფექტიანად იმუშაოს ჯგუფში, იყოს ლიდერი; გააჩნია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან დაკავშირების, დასკვნების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარ-ჩვევები;

5. სწავლის უნარი

სტუდენტს შეუძლია:

5.1. ცოდნის რეგულარულად განახლება შესაბამისი ლიტერატურის, ინფორმაციის და სხვა მასალების მიზანდასახული შერჩევით და შესწავლით;

5.2 მოწინავე თეორიების, ახალი პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ექსპერტული მოსაზრებების, ინოვაციური მიდგომების შესწავლა, გაზიარება და პრაქტიკაში გამოყენება;

5.3 საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასება და მომავალი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;

5.4. უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების და მიდგომების შესწავლის შედეგად ცოდნის შემდგომი გაღრმავება ტურიზმის სფეროში და სწავლის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული და რეგიონული მიმართულებებით;

5.5. მიღებული საბაზო და სპეციალური ცოდნის საფუძველზე ტურიზმის სფეროს ცალკეული სპეციალიზაციების შეგნებული არჩევა და შესწავლა. კომპეტენციების დამოუკიდებლად ამაღლება იმ ინოვაციურ საკითხებში, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ტურისტული კომპანიების ფუნქციონირებაზე, მათ შორის ახალი კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება, ინოვაციური მარკეტინგული საშუალებების ათვისება და ახვა.

6. ღირებულებები

6.1. გაცნობიერებული აქვს ტურიზმის მარკეტინგის, მენეჯმენტის, პოლიტიკის, სტრატეგიების ინოვაციური კონცეფციების და სხვა შემენილი ცოდნის ღირებულებები ტურიზმის შრომის ბაზარზე. ასევე, აცნობიერებს იმ ცოდნის კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც ეფუძნება გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კონცეფციებს, აღიარებული ეთიკის ნორმებს, მდგრადი განვითარების პრინციპებს. აცნობიერებს ამ ღირებულებების პოპულარიზაციისა და დანერგვის მნიშვნელობას, მათ შორის ეროვნული ინტერესების ღირებულებების გათვალისწინებით;

6.2 აცნობიერებს იმ ღირებულებებს, რომლებსაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა გლობალიზაციისა და დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობის მიმდინარე პროცესებში;

6.3 გააჩნია პრაქტიკაში განვითარებულ შეხედულებებს და ნორმებს კრიტიკული ანალიზის უნარი, აცნობიერებს ახალი ღირებულებების შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელობას კონფლიქტურ და კრიზისულ ვითარებებში. გაცნობიერებული აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, გააჩნია სხვადასხვა კულტურული ფასეულობების აღქმის უნარი, იცავს ეთიკის ნორმების, როგორც პარტნიორებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობებში, ასევე კვლევით საქმიანობაში.

V. სწავლების და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

- **დისკუსია-დებატები,** რაც ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში, რაც მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით არ შემოიფარგლება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა.** გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება.** ესაა სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ ისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- **შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study).** გულისხმობს ლექციის ახსნის პროცესში სტუდენტებთან ერთად კონკრეტული შემთხვევების განხილვას, თეორიული მასალის უფრო თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად წარმოჩენის მიზნით;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას ნიშნავს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
- **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკას, საველე მუშაობას და სხვა;

- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;**
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **გონებრივი იერიშის მეთოდი (Brain storming),** რომელიც გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მაქსიმალურად მეტი და რადიკალურად განსხვავებული აზრის, შეხედულების, წარმოდგენის შექმნასა და გამოხატვის ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს პრობლემისქადმი შემოქმედებითად მიდგომას;
- **პროექტის შემუშავება**- არის სასწავლო შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად და ასევე, ერთი ან რამოდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

- **სწავლა სწავლებით (Learning by teaching (LdL) —** ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი;
- **როლური და სიტუაციური თამაშები –** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- **ევრისტიკული მეთოდი** - სტუდენტის წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივი გადაწყვეტა, რაც სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებითა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება და სხვა;
- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის

მეშვეობით სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

.

<u>შენიშვნა</u>: *სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად თემატიკის გათვალისწინებით.*

VI. ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება ტარდება ევროპული საკრედიტო სისტემის სტანდარტის შესაბამისად, სადაც დანერგილია შეფასების უწყვეტი ხასიათი. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. თითოეული სასწავლო კურსის (საგნის) შესწავლისას სტუდენტის მოსწრების შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- დასკვნითი გამოცდა;
- შუალედური გამოცდა;
- აქტივობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს;
- აქტივობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს;
- აქტივობა სემინარზე;
- პრეზენტაცია – ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- სხვა აქტივობები

<u>შენიშვნა</u>

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება, გამოცდის ფორმები და მისი კომპონენტების არჩევანი ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში. ქულების გადანაწილებას განსაზღვრავს ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. ***შეფასების მაქსიმალური ქულაა - 100.***

პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები (იხ. პროგრამის სილაბუსები).

კრედიტი მინიჭებულად ითვლება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (თუ სტუდენტი შეფასების ყველა ქულების გათვალისწინებით დააგროვებს 51- 100 ქულას).
სალექციო კურსის თემები და შესაბამისი სასემინარო/სამუშაო ჯგუფში /პრაქტიკულ მეცადინეობის თემატიკა ერთნაირია, სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, იმავე თემაზე სემინარზე მუშაობას პრაქტიკული შედეგი აქვს, სტუდენტი ადვილად იგებს და ითვალისწინებს შესასწავლ მასალას.

შეფასების სისტემა მოიცავს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(**A**) ფრიადი - შეფასების **91 – 100** ქულა;
(**B**) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების **81-90** ქულა;
(**C**) კარგი - მაქსიმალური შეფასების **71-80** ქულა;
(**D**) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების **61-70** ქულა;
(**E**) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების **51-60** ქულა.
ორი სახის უარყოფითი შეფასებას:
(**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების **41-50** ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(**F**) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება **40** ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო ნაშრომის (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

FX–შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე; საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა

დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს კრედიტი.

VII. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2013-2014

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
										სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი				I	II	III	IV
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 65 კრედიტი													
1	მომსახურების მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნინო ფარესაშვილი	5	5			
2	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნუგზარ თოდუა	5	5			
3	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	რუსუდან სეთურიძე	5	5			
4	ტურიზმის პოლიტიკა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ვალერი არღუთაშვილი	5	5			

5	ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5	5			
6	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5		5		
7	ტურიზმის მდგრადი განვითარება	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5		5		
8	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი	5		5		
9	პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	14	30	81	მერაბ ხოხობაია	5			5	
10	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდებულო	მომსახურების მენეჯმენტი	45	15	30	80	ვალერი არღუთაშვილი	5			5	
11	ლიდერული უნარ–ჩვევები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ეკატერინე გულუა	5			5	
12	ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5			5	
13	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	სავალდებულო	მარკეტინგის მენეჯმენტი	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5			5	
სპეციალობის არჩევითი კურსები – 15 კრედიტი													
	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მოწვეული პედაგოგი ნიკო კვარაცხელია	5	5			
	ინგლისური B1.2.	არჩევითი	წინაპირობის	45	15	30	80	ნინო ნასარიძე,	5				

			გარეშე					ენების ცენტრის მასწავლებელი					
	სათავგადასავლო ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნანა კაციტაძე, მოწვეული პედაგოგი ინეზა ვაწაძე	5				
	გასტრონომიული ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მოწვეული პედაგოგი დალილა ცატავა	5		5		
	ინგლისური B2.1.	არჩევითი	ინგლისური B1.2	45	15	30	80	მერი გიორგაძე,ენების ცენტრის მასწავლებელი	5				
	ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში	45	15	30	80	იოსებ ხელაშვილი	5			5	
	ღონისძიებათა ტურიზმი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	ნანა კაციტაძე	5				
	საკურორტო ტურიზმი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	მოწვეული პედაგოგი, ელზა ბალიაშვილი	5				
კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი													
		სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	15			235	იოსებ ხელაშვილი, ნანა კაციტაძე	10		10		

პროფესიული პრაქტიკა – 10 კრედიტი													
		სავალდებულო	ათვისებული მინიმუმ 80 კრედიტი	25			225	იოსებ ხელაშვილი	10				10
სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი													
		სავალდებულო	კვლევითი ნაშრომი, მთლიანი სასწავლო კომპონენტები	35			465	იოსებ ხელაშვილი, ნანა კაციტაძე	20				20
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 65 კრედიტი **სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 15 კრედიტი** **კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი** **პროფესიული პრაქტიკა – 10 კრედიტი** **სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი**													
სულ 120 კრედიტი													

პროგრამის კურსების სილაბუსები მოცემულია დანართის სახით.

VIII. სამაგისტრო ნაშრომის მახასიათებლები:

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის აკუმულაციას, რომლის მიზანია შეაჯამოს სასწავლო კურსების გავლით მიღებული ცოდნა, წარმოაჩინოს სწავლის განმავლობაში შეძენილი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, გამოავლინოს არგუმენტაციის, კვლევის, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების და შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებლად სწავლის და მუშაობის უნარები.

IX. პროფესიული პრაქტიკა:

1. პროფესიული პრაქტიკა წარმოადგენს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი ტარდება მე-4 სემესტრში. პრაქტიკის მიზანია მაგისტრანტის თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცება, ტურიზმის დარგში ბიზნეს-საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისა და განსაზღვრის გამოცდილების შეძენა. პრაქტიკის ობიექტზე მაგისტრანტი სწავლობს სამსახურების მუშაობის შინაარს, აგროვებს ფაქტიურ მასალას, ადგენს სქემებს, ეცნობა ინსტრუქციებს, დოკუმენტაციას, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით კრიტიკულად აფასებს პრაქტიკის ობიექტის მუშაობის შესაბამის მაჩვენებლებს, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს და კონკრეტულ წინადადებებს.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ხელშეკრულების (მემორანდუმების) საფუძველზე საწარმოო პრაქტიკას გადის:

1) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია: სანაპიროს 4. 0105, თბილისი
2) საქართველოს გიდების ასოციაცია, მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ. 5 და მასში შემავალი კომპანიები
3) საქართველოს სასტუმროების, რესტორნების და კაფეების ფედერაცია, მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ. 4. დ მასში შემავალი კომპანიები
4) საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია: თბილისი 0114, გუდიაშვილის ქუჩა №11 და მასში შემავალი კომპანია

X. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: სავალდებულო კურსები 65 ECTS კრედიტი, კვლევითი ნაშრომი 10 ECTS, პროფესიული პრაქტიკა 10 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი – 20 ECTS კრედიტი. არჩევითი კურსებზე მოდის 15 ECTS კრედიტი – 8 არჩევითი 5 ECTS კრედიტიანი კურსიდან ასარჩევია 3 (I-III სემესტრებში).

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია წელიწადში 65 კრედიტიანი **ECTS (European Credit transfer Syistem)** სისტემით, რაც ნიშნავს, რომ ოთხი სემესტრის მანძილზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. კრედიტი არის

სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოყენებული ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი სასწავლო კურსის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. დიპლომი გაიცემა 120 კრედიტის დაგროვების შემდგომ. თუ სტუდენტი ვერ იღებს 120 კრედიტს, მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს გავლილი სასწავლო კურსების (მოდულებისთვის) შესაბამისი დამადასტურებელი ცნობა, რომელიც აისახება სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო ბარათში.

სასწავლო პროცესი წელიწადში გრძელდება **38 სასწავლო კვირა;**

- 1 კრედიტი ტოლია **25 საათის.**

- ერთი სემესტრის ხანგრძლივობაა: **XIX სასწავლო კვირა:** მ.შ. – **XV კვირა** სალექციო პერიოდი, ერთი შუალედური გამოცდა – **VIII კვირას;** დასკვნითი გამოცდა - **XVI- XVII-XVIII,** დამატებითი გამოცდა — **XIX კვირა.**

XI. სტუდენტის დატვირთვა

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- პროფესიულ პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას;
- პროექტის პრეზენტაციას;
- სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები.

XII. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სფერო და დასაქმების ობიექტი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდგომ, მაგისტრმა საქმიანობა შეიძლება განახორციელოს:

- ✓ ტუროპერატორულ და ადგილზე ტურისტთა მომსახურებაზე ორიენტირებულ კომპანიებში მენეჯმენტის საშუალო და მაღალ პოზიციებზე;

- ✓ სასტუმროებში და სხვა განთავსების საშუალებების ქსელურ და ინდივიდუალურ ობიექტებზე მენეჯმენტის საშუალო და მაღალ პოზიციებზე;

- ✓ კურორტებზე და ტურიზმის დანიშნულების ადგილებზე ტურიზმთან დაკავშირტებულ სტრუქტურებში;

- ✓ ტურიზმთან დაკავშირებულ ცენტრალიზებულ და რეგიონულ სახელმწიფო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში სპეციალისტის და მიმართულებების მენეჯერის პოზიციებზე;

- ✓ ტურიზმთან და მასპინძლობასთან დაკავშირებულ ცენტრებში, პროექტებში და პროგრამებში სპეციალისტის და მენეჯერის პოზიციებზე;

- ✓ ტურიზმთან და მასპინძლობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ✓ კვლევით დაწესებულებებში სპეციალისტის პოზიციებზე;

- ✓ აწარმოონ საკუთარი ბიზნესი თვითდასაქმებით;

XIII. სწავლის გაგრძელების საშუალება:

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

XIV. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლ ევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV იხ. დანართის სახით.

XV. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება - სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე,

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტში ჩართული და თანამედროვე პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი და სხვა). ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

XVI დამატებითი ინფორმაცია

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა მაგისტრანტს პირობებს უქმნის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად. ამ მიზნით, მას ეძლევა ფაკულტეტისა და თსუ–ს ბიბლიოთეკებითა და არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა. ასევე, დამატებითი ლიტერატურა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები) მიეწოდება მაგისტრანტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.
მაგისტრატურის პირველ სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის თემა შეირჩევა მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის სათანადო კონსულტაციების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევში“.
სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი ნაშრომის დაცვა. კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს. კვლევითი ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 25 გვერდისა. მისი დაცვა ხდება პირველი სასწავლო წლის მე–2 საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს. კვლევითი ნაშრომის გაფორმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ანალოგიურია. შეფასება ხდება იგივე სისტემით, დაცვა წარმოებს კომისიის წინაშე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრის მატერიალურ–ტექნიკური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს 50 მაგისტრანტის მიღება.

XVII. პროგრამის ანალოგები

- University of Surrey /UK/ - https://www.surrey.ac.uk/postgraduate/international-tourism-management-msc-2018
- Edinburgh Napier University /UK/ - https://www.napier.ac.uk/courses/browse-interests/tourism
- NHL Stenden University of applied Sciences /NL/ -https://www.nhlstenden.com/en/courses/international-hospitality-and-service-management-ma
- Wittenberg University /NL/ - https://www.wittenborg.eu/msc-programmes-wittenborg.htm
- University of Southern Denmark /DK/ -https://www.sdu.dk/en/uddannelse/kandidat/european_master_in_tourism_management

- University of Ljubljana /SI/ - http://www.ef.uni-lj.si/graduate/tourism
- ISCTE Intrernational Business School in Lisbon /PT/ - http://ibs.iscte-iul.pt/en//?pt=course-information-master-science-hospitality-tourism-management;
- INSEEC University /FR/ - https://masters.inseec.com/en/masters-mba-programs/marketing-communication-digital/index.cfm
- University of South Carolina /US/ - http://gradschool.sc.edu/facstaff/directory.asp?prog_id=731#731; http://bulletin.sc.edu/preview_program.php?catoid=68&poid=3987
- Virginia Technical University /US/- https://secure.graduateschool.vt.edu/graduate_catalog/program.htm?programID=002d14431ce38e83011ce38e924f0010
- Kent State University /UK/ - http://catalog.kent.edu/colleges/eh/fla/hospitality-tourism-management-ms/; http://catalog.kent.edu/colleges/eh/fla/hospitality-management-bs/#programrequirementstext

XIX. **დ ა ნ ა რ თ ე ბ ი**

პროგრამას ახლავს შემდეგი დანართები

ა) დანართი 1. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

ბ) დანართი 2. პროგრამის ხელმძღვანელის CV;

გ) დანართი 3. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV;

დ)დანართი 4. მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;

ე) დანართი 5. სამაგისტრო ნაშრომების საორიენტაციო ზოგადი თემატიკა;

ვ) დანართი 6. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ;

ზ) დანართი 7. პროგრამის სილაბუსები;

თ) დანართი 8. პროგრამის დამტკიცების აქტი.

დანართი 1 სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

სავალდებულო სასწავლო კურსები

	კურსი / სწავლის შედეგები	1.ცოდნა და გაცნობიერება:			2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი			3.დასკვნის უნარი		4.კომუნიკაციის უნარი				5. სწავლის უნარი					6.ღირებულებები		
		1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	3.1	3.2	4.1	4.2	4.3	4.4	5.1	5.2	5.3	5.4	5.5	6.1	6.2	6.3
1	მომსახურების მენეჯმენტი	X	X	X	X	X		X						X	X				X		X
2	მარკეტინგის მენეჯმენტი	X		X	X	X		X	X		X	X	X	X			X		X		
3	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	X			X			X			X	X		X	X	X	X			X	X
4	ტურიზმის პოლიტიკა	X	X	X	X	X	X	X			X		X	X	X	X		X	X	X	
5	ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი	X		X	X	X				X	X			X				X	X		X
6	კვლევის მეთოდები ტურიზმში	X	X		X	X	X	X	X	X	X			X			X				X
7	ტურიზმის მდგრადი განვითარება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X			X	X				X	X	
8	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	X				X	X	X	X		X			X	X		X				
9	პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში	X			X	X	X		X	X	X		X	X	X	X		X	X		X
10	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X		X	X		X		X	X			X	X	X		X	X	X	

11	ლიდერული უნარ-ჩვევები				X	X	X				X	X	X		X	X				X	X
12	ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში	X		X			X	X								X		X	X		
13	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	X	X		X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		X	X	X		
14	კვლევითი ნაშრომი	X	X	X		X	X	X		X		X	X	X	X	X					X
15	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X		X	X	X	X	X		X	X	X	X	X					X
16	პროფესიული პრაქტიკა		X	X	X	X	X	X		X	X		X		X		X	X	X		X

არჩევითი სასწავლო კურსები

	კურსი / სწავლის შედეგები	1.ცოდნა და გაცნობიერება:			2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი			3.დასკვნის უნარი		4.კომუნიკაციის უნარი				5. სწავლის უნარი					6.ღირებულებები		
		1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	3.1	3.2	4.1	4.2	4.3	4.4	5.1	5.2	5.3	5.4	5.5	6.1	6.2	6.3
1	*კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის*	X		X	X		X	X		X				X					X		X
2	*სათავგადასავლო ტურიზმი სასწავლო კურსის მიზანია*	X			X			X		X				X						X	X
3	*გასტრონომიული ტურიზმის სასწავლო კურსის*	X	X	X	X	X	X				X				X		x			X	X

	მიზანია																				
4	*ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში*	X	X	X	X	X				X				X	X	X			X		
5	*ღონისძიებათა ტურიზმი*			X		X		X					X	X					X		X
6	*საკურორტო ტურიზმი*	X			X			X	X	X			X	X		X	X	X			
7	*ინგლისური ენა B1.2.*	x								x	x			x	x				x		X
8	*ინგლისური ენა B 2.1.*	x		x						x	x			x	x				x		X

დანართი 2 პროგრამის ხელმძღვანელის CV;

დანართი 3 პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV;

დანართი 4. მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა

1. ტურიზმის არსი, კლასიფიკაცია, დეფინიციები; ტურიზმის ინდუსტრიის სტრუქტურა;
2. საჰაერო მიმოსვლის ინდუსტრია და მისი როლის გაგება მოგზურობაში; ალიანსები, დერეგულაცია და კონსოლიდაცია;
3. საავტომობილო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში, ავტომობილების გაქირავების სერვისი;
4. სარკინიგზო ტრანსპორტი მგზავრთა გადაყვანაში;
5. ტურიზმის ევოლუცია;
6. მსოფლიოს ტურისტული ცენტრები, ტოპათეულის დანიშნულების ადგილები;
7. ტურიზმისა და ტურიზმის მენეჯმენტის კომპონენტები;
8. ტურიზმის სწავლების საბაზისო მიდგომები;
9. ტურიზმის კულტურული ზეგავლენა, კულტურული ტურიზმი;
10. ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენა;
11. მოტივაციები ტურიზმში, მოგზაურთა სამოტივაციო მოდელების განვითარება;

12. ტურისტული დანიშნულების ადგილები, მისი ტიპები, დონეები, ტურისტების მიზიდვის სხვა საშუალებები.
13. ტურიზმის პოლიტიკა, შინაარსი და პროცესი;
14. ტურიზმი და გარემო;
15. ეკოტურიზმი;
16. მდგრადი ტურიზმი,
17. სადისტრიბუციო პროცესი ტურიზმში, სამოგზაურო აგენტები, ტურსააგენტოები;
18. ინტერენეტის გავლენა ტურიზმისა და მოგზაურობის სადისტრიბუციო არხებზე;
19. ტურიზმის კომპონენტები და მიწოდება;
20. მოთხოვნის გაზომვა და პროგნოზირება ტურიზმში;
21. მარკეტინგის კონცეფცია, ტრისტული პროდუქტის თავისებურებანი;
22. მარკეტინგული კომპლექსი ტურიზმში;
23.ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია;
24. ტურისტული შთაბეჭდილებები და დანიშნულების ადგილის ტიპები;
25. განთავსების საშუალებები და მისი ტიპოლოგია;
26. განთავსების საშუალებების ევოლუცია და განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
27. სასტუმროთა კლასიფიკაცია (ფასისის, მოგზაურთა ტიპების და სხვა ნიშნებით);
28. კვების ინდუსტრია-კვების სერვისების სტრუქტურა;
29. მენიუს განვითარების ტენდენციები; კულინარული ტურიზმი;
30. შეხვედრების ინდუსტრია;
31. ტურისტული სანახაობების ინდუსტრია, თემატური პარკები და ატრაქცები;
32. რეკრეაცია;
33. ტურიზმი და მშვიდობა;
34. ტურიზმის სოცოალური ზეგავლენა;
35. ტურიზმში კვლევის მნიშვნელობა და მიმართულებები, კვლევის ტიპები;
36. ეკონომიკური მულტიპლიკატორები;
37. ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის საკვანძო პარამეტრები;
38. ტურისტული პროდუქტის დაგეგმვა და განვითარება.

ბილეთი შედგება 4 საკითხისგან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულაა 25. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (10 ქულა), ლოგიკური აზროვნების უნარი (10 ქულა) და გადმოცემის სტილი (5 ქულა), შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. გამოცდა ითვლება ჩაბარებულად თუ აბიუტურიენტმა მიიღო 51 და მეტი ქულა.

ლიტერატურა:

გოლდნერი ჩარლზ რ.,რითჩი ჯ.რ. ტურიზმი (საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია). ქართულენოვანი გამოცემა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2013 წ.)

დანართი 5. სამაგისტრო ნაშრომების საორიენტაციო ზოგადი თემატიკა

1. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
2. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში;
3. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში;
4. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საქართველოს ქალაქებში;
5. ქსელური სასტუმროების ბიზნესის და მენეჯმენტის თავისებურებები;
6. სასტუმროების მომარაგების ორგანიზების თავისებურებები;
7. მომსახურების ხარისხის მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში;
8. ინვესტირების თავისებურებები სასტუმრო ინდუსტრიაში;
9. ინვესტირების თავისებურებები საოჯახო სასტუმროებში;
10. საოჯახო სასტუმროების მენეჯმენტის და მარკეტინგის თავისებურებები;
11. სასტუმროების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები;
12. სასტუმროების მარკეტინგის თავისებურებები ტუროპერატორული ბიზნესის განვითარება საქართველოში;
13. ტურისტული მარშრუტების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში;
14. საქართველოს პოტენციალი რეგიონული ტურისტული მარშრუტების განვითარებაში;
15. შემოსვლითი ტურიზმის ტენდენციები საქართველოში;
16. ტურიზმის დანიშნულების ადგილების განვითარება საქართველოში;
17. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალი;
18. საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონების ტურისტული პოტენციალი;
19. გასვლითი ტურიზმის ტენდენციები საქართველოში;

20. ეკოტურიზმის განვითარება საქართველოში;
21. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს მთიან რეგიონებში;
22. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს დაცულ ტერიტორიებში;
23. ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
24. ექსტრემალური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
25. საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები;
26. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
27. რეკრეაციული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
28. საქართველოს კულტურული ტურიზმის განვითარების პოტენციალი;
29. მუსიკალური ფესტივალების როლი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში;
30. საქმიანი ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
31. ღონისძიებათა ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
32. საქართველოს ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების პოტენციალი;
33. სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში;
34. ინკლუზიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
35. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და პერსპექტივები საქართველოში;
36. ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
37. ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები ტურისტულ კომპანიებში;
38. ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში;
39. ტურიზმის განვითარების ზეგავლენა სოციალურ გარემოზე (საქართველოს რეგიონების მაგალითზე);
40. საქართველოში ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია;
41. „ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ტურიზმში“;
42. ინოვაციური მიდგომები ტურიზმის ბიზნესის ორგანიზებაში;
43. ინოვაციური მიდგომები და საშუალებები ტურიზმის მარკეტინგში;
44. ინოვაციური მიდგომები და მეთოდები ტურისტთა მომსახურებაში;

45. ტურიზმის სწავლებისა და კვლევის საბაზისო მიდგომები : მსოფლიო გამოცდილება და საქართველო;
46. საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
47. საქართველოს კონკურენტუნარიანობა ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე
48. საქართველოს ადგილი შავიზღვისპირეთის საერთაშორისო ტურიზმში
49. საქართველოს სამთო ტურიზმის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე
50. ტურიზმის მცირე ბიზნესის დაგეგმვა და ორგანიზება.

დანართი 6. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

დანართი 7. პროგრამის სილაბუსები

დანართი 8. პროგრამის დამტკიცების აქტი

https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/972018//

დადგენილება №97/2018 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

დადგენილება №97/2018
2 აპრილი, 2018

„საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 30 მარტის №6403/10 და №6492/10 წერილებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №8 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილების შემდეგ დანართებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) II ნაწილის „ა“ პუნქტის 35-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ–რუსულენოვანი)“ (დანართი 35);
ბ) III ნაწილის „ა“ პუნქტის 78-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ (დანართი 78);
გ) III ნაწილის „ბ“ პუნქტის 81-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დანართი 81);
დ) III ნაწილის „ბ“ პუნქტის 83^1 ქვეპუნქტით დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი (ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამა)“ (დანართი 211);
ე) III ნაწილის „გ“ პუნქტის 85-ე ქვეპუნქტით დამტკიცებული სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დანართი 85).

2. „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილების III ნაწილის „ბ“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 83^2 ქვეპუნქტი:

„83^2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2 (საფრანგეთი) ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ (დანართი 289);“.

3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე